ავტობიოგრაფია

დავით კარელიძე

მე, დავით გერისოს ძე კარელიძე, დავიბადე 1990 წლის 14 სექტემბერს ქ. თბილისში.

1996 წელს შევედი ქ. გორის მე-11 საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2007 წელს.

2007 წელს ჩავირიცხე გორის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, სამართლამცოდნეობის სპეციალიზაციით, რომელიც დავამთავრე 2011 წელს და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2009-2010 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური.

2013 წელს სწავლა განვაგრძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე, რომელიც დავამთავრე 2015 წელს და მომენიჭა სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2012-2013 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სასწავლო კურსი და ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა.

2012-2013 წლებში სტაჟირება გავიარე გორის რაიონულ სასამართლოში. 2013 წლის 15 მაისიდან, 2013 წლის 30 დეკემბრამდე ვიყავი გორის რაიონული სასამართლოს აპარატის სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი. 2013 წლის 30 დეკემბრიდან 2015 წლის 17 მარტამდე ვიყავი ამავე სასამართლოს აპარატის სხდომის მდივანი. 2015 წლის 17 მარტიდან 2023 წლის 25 ოქტომბრამდე (იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად განწესებამდე), ვიყავი გორის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე.

2021 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2023 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვესწრებოდი სხვადასხვა სემინარებს და ტრენინგებს.

2023 წლის 26 ოქტომბრიდან, 2024 წლის 26 ოქტომბრამდე, ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, სადაც გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

მყავს მეუღლე და შვილი.

დავით კარელიძე

08.11.2024 წელი